სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება # 529/06

ქ. თბილისი **2022 წელი**

ერთის მხრივ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯმ.გრუპი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის/ხელმძღვანელის, გიორგი ჩიკვილაძის სახით, შემდგომში წოდებულნი ,,მხარეებად", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. ,,საათი", „დღე", „კვირა", „თვე" - საათი, კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის **№FR -21 - 12546** საგრანტო პროექტის ამოცანების შესრულებისთვის (პროექტის ხელმძღვანელი ელიზავეტა ცხაკაია) არგონის შედუღების აპარატის (CPV38541000- შედუღებადობის სასინჯი აპარატები, (მანქანა დანადგარები და აპარატურა ცდებისა და გაზომვებისთვის - CPV38540000) სახელმწიფო შესყიდვა (წერილის #10725/10-02).

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის სრული აღწერა და ძირითადი მახასიათებლები:

№	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდენობა	თანხა, ლარი
1	შედუღების აპარატი TIG - 200	• პლაზმური შედუღების ოფცია • ცვლადი და მუდმივი დენის ფუნქცია • კომპლექტაცია: ფაიფურის ცილინდრები და ვოლფრამის ჩხირები • კვების ძაბვა -220ვ/50ჰც • სიმძლავრე -5,2კვტ. • დენის ძალა-200ა	კომპლექტი	1	2200.00
სულ ფასი: 2200.00 ლარი					

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **2200.00** (ორი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1 მიმწოდებელმა საქონლის მოწოდება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზ. #1) სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საწყობი).

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 25 აგვისტოს #189/02-01 ბრძანებით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფი და/ან პროექტის ხელმძღვანელი, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად. ინსპექტირება გულისხმობს შესაბამისობის დადგენას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან, ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მიწოდებისათვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვას.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი საქონლის ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდბელს საბოლოო შემოწმების შედეგი დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით. შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება დამატებითი ანაზრაურების გარეშე, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა, გამოვლენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

5.4 მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს, წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით შეცვალოს წუნდებული საქონელი, წუნის გამოვლენიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

5.5 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, სათანადო სასაქონლო ზედნადების თანდართვით, „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის/ სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დადებითი დასკვნის გამოუწერლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.4. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ყველა რისკი მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტის (საქონლის) შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული რისკები გადადის შემსყიდველზე.

6.5. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 06 მარტის N52/02/01 ბრძანების საფუძველზე არიან: თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი, თსუ მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროს და სამეურნეო განყოფილების უფროსის მოადგილე.

6.6. მიღება–ჩაბარებისას შემსყიდველი ორგანიზაცია განახორციელებს მიწოდებული შესყიდვის

ობიექტის ინსპექტირებას. ინსპექტირების შედეგებზე შედგენილ იქნება დასკვნა უფლებამოსილი პირების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

7.2. ანგარიშსწორება იწარმოებს მოწოდებული საქონლის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და/ან საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის გამოწერიდან და ინსპექტირების დადებითი დასკვნის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის, მათ შორის საქონლის მიწოდების, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისთვის განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.2 ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევ მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) %-ს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.4 მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობთ ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში.

9.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9.7. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების

შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს- მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

12. გარანტია და საგარანტიო მომსახურების პირობები
12.1. მიმწოდებელი იძლევა მიწოდებული შესყიდვის ობიექტის არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის გრანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება ახალი, არა მეორადი ქარხნულად აღდგენილი/გადამუშავებული და შეფუთვის მთლიანობა არ იქნება დარღვეული.
12.2. შესყიდვის ობიექტის სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება საქონლის მიღებიდან 1 (ერთი) წლის ვადით.
12.3. საგარანტიო პერიოდში ინსპექტირება ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.
12.4. საქონლის მიღებისას ინსპექტირების პერიოდში ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოცვალოს საქონელი ახლით გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. საგარანტიო პერიოდში ექსპლუატაციის პროცესში, სწორი ექსპლუატაციის პირობებში და მექანიკური დაზიანების გარდა, წარმოქმნილი ხარვეზების არსებობის შემთვევაში, შემსყიდველი წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით აცნობებს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ „მიმწოდებელს". „მიმწოდებელი" მისი წარმომადგენლის მიერ, საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) შეტყობინებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა ახდენს რეაგირებას. საჭიროების შემთხვევაში სამი სამუშაო დღის ვადაში დგება დეფექტური აქტი, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ ხანგრძლივობას. სერვის მომსახურება განხორციელდება არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში თუ ასეთი პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები მიმწოდებელს აქვს ადგილზე (საწყობში), წინააღმდეგ შემთხვევაში დეფექტური აქტით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში მაგრამ არაუმეტეს მწარმოენლის მიერ გაცემული პირობების შესაბამისად.
12.5. იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ ექვემდებარება შეკეთებას, იგი უნდა შეიცვალოს ახლით.

13. ხელშეკურლების მოქმედების ვადა
13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2022 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
13.2. ხელშეკრულების მე-12 მუხლი ძალაშია მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად.

14. დასკვნითი დებულებები
14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული

დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

14.2 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.3 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14.5 შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირ(ებ)ი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**შპს „ჯმ.გრუპი“**
მისამართი:	**მისამართი:**
ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1	ქ. თბილისი, კოსმონავტების **სანაპირო #25**
რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
№FR -21 -12546 გრანტი	სს თიბისი ბანკი ა/ა N: GE48TB7133936080100004 ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:	**საიდენტიფიკაციო კოდი:**
204864548	400 115 898

ლაშა საღინაძე

Giorgi Chikviladze 34001003624
Digitally signed by Giorgi Chikviladze
Date: 2022.07.14 10:56:51

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2022.07.08 15:21:51 +04'00'